

#5, მაისი, 2008

იურიდიული დახმარების კლინიკა

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტში შეიქმნა იურიდიული დახმარების კლინიკა, რომლის მიზანია სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის იურიდიული მომსახურება.

კლინიკაში იურიდიული მომსახურება უფასოა და მოიცავს:

- იურიდიულ კონსულტაციას;
- სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას;
- განსაკუთრებულ შემთხვევებში წარმომადგენლობას ადმინისტრაციულ ორგანოებში და სასამართლოში.

კლინიკის საქმიანობის ფორმები

- სატელეფონო კონსულტაცია;
- პირადი კონსულტაცია;
- გასვლითი იურიდიული კონსულტაცია (რეგიონებში);
- ონლაინ კონსულტაცია.

თბილისი 0171

26 მაისის მოედანი 2, V სართული

ტელ: (995 32) 94 16 05

ფაქსი: (995 32) 33 04 17

ელ-ფოსტა: legalclinic@civilin.org

ვებ-გვერდი: www.civilin.org/welfare

ყოველთვიურ ელექტრონულ გამოცემას აზიანებს სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი ვებ-გვერდი: www.civilin.org

1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა, მისი მიზანია საზოგადოებრივი აზრის კიდევ ერთხელ მობილიზება ბავშვთა დასაცავად, ზრუნვა მათი ჯანმრთელობისა და დემოკრატიული აღზრდა-განვითარებისათვის



„ბავშვს, მისი ფიზიკური და გონებრივი მოუმწიფებლობის გამო, ესაჭიროება სპეციალური დაცვა და ზრუნვა, შესაბამისი სამართლებრივი დაცვის ჩათვლით, როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდეგ“.

ბავშვთა უფლებათა დეკლარაცია

სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესების პროექტის პირველი ეტაპი დასრულდა. 2008 წლის აპრილიდან პროექტის მეორე ეტაპი დაიწყო. გერმანული ფონდის EED-ის ფინანსური მხარდაჭერით პროექტს ახორციელებს სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი

პროექტის პირველი ნაწილი ითვალისწინებდა ერთი მხრივ სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინსტიტუციონალური და ორგანიზაციული განვითარების ხელშეწყობას, მეორეს მხრივ სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების და ხელისუფლების თანამშრომლობის ეფექტიანი მექანიზმის შემუშავებასა და სახელმწიფოს მიერ სოციალური მომსახურების საზოგადოებრივი ორგანიზაციებისგან შესყიდვის მოქნილი მექანიზმის შექმნას. მიზნებიდან გამომდინარე პროექტის პირველი ნაწილი მრავალ კომპონენტს მოიცავდა:

კვლევები

პროექტის პირველი ნაწილის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენდა რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევები, რომლებიც



საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის, მათი შესაძლებლობების, პერსპექტივების, საჭიროების გამოკვეთის მიზნით ჩატარდა. მისი შედეგები საფუძვლად დაედო სოციალური მომსახურების საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის გადაცემის (აუტსორსინგის) პოლიტიკის შემუშავებას. როგორც უკვე ავლიშნეთ პროექტის ფარგლებში

ჩატარდა რამდენიმე ტიპის კვლევა:

- რაოდენობრივი კვლევა, რომლის მეშვეობითაც დადგინდა სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების დონე ქვეყანაში;
- რაოდენობრივი კვლევა საზოგადოებრივი ატიტუდების დასადგენად;
- ხარისხობრივი კვლევა სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების საარსებო გარემოს განვითარების ინდექსის დასადგენად;
- უცხოური გამოცდილების კვლევა.

სოციალური მომსახურების საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის გადაცემის (აუტსორსინგი) პოლიტიკა

პროექტის პირველი ეტაპის უმნიშვნელოვანესი პროდუქტია სოციალური სერვისების აუტსორსინგის პოლიტიკის შემუშავება. დოკუმენტში განხილულია სოციალური მომსახურების მიწოდების 4 ალტერნატიული მოდელი. პირველი გულისხმობს სახელმწიფოს მიერ სერვისების პირდაპირ მიწოდებას; მეორე – სერვისების მიწოდებას სერვისპროვაიერი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ; მესამე – სერვისების მიწოდებას კერძო, ბიზნეს ორგანიზაციების მიერ და მეოთხე – ერთობლივი მოდელი, რომელიც გულისხმობს სერვისის მიწოდებას ერთობლივად სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ. პრობლემის ანალიზის შედეგად, საქართველოს სინამდვილისთვის ყველაზე ეფექტურ მოდელად მიჩნეულია მეოთხე მოდელი. დოკუმენტი ასევე განიხილავს მოდელის ეფექტურად განხორციელებისათვის საჭირო დაფინანსების სქემებს. დოკუმენტში ასევე წარმოდგენილია სოციალური სერვისების მიწოდების განხორციელების სტრატეგია. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოში სოციალური სერვისების მიწოდების სფეროს რეფორმირებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს.

ინსტიტუციონალური განვითარების ტრენინგები

ამ კუთხით საანგარიშო პერიოდში სოციალურ სფეროზე ორიენტირებული ორგანიზაციებისათვის ჩატარდა ტრენინგების ციკლი სხვადასხვა მიმართულებით, ტრენინგები გაიარა 50-ზე მეტი ორგანიზაციის 86 წარმომადგენელმა. თბილისში, **(გაგრძელება იხ. მე-3 გვ)**

(გაგრძელება)

იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში შემდეგ მიმართულებებში:



- სამართლებრივ საკითხებში - არასამეწარმეო კანონმდებლობა, საქველმოქმედო სტატუსის მინიჭების, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცედურების შესახებ. ასევე ორგანიზაციებისთვის აქტუალურ სამართლებრივ საკითხებზე;
- მენეჯმენტში, ორგანიზაციის მართვასა და პროექტის შედგენაში – ეფექტური ორგანიზაციის მოდელი, მართვის საფუძვლები და მენეჯერის უნარ-ჩვევები; პროექტის წერისა და დიზაინის ძირითადი პრინციპები.

იურიდიული დახმარების ცენტრი

პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდა იურიდიული დახმარების ცენტრი, რომელიც უფასო იურიდიულ კონსულტაციებს უწევს სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. პროექტის პირველ ეტაპზე 100-ზე მეტ ბენეფიციარს გაეწია იურიდიული კონსულტაცია.

ქსელი

პროექტის ფარგლებში შეიქმნა სოციალურ სფეროს აქტორთა ქსელი, რომელიც აერთიანებს ხელისუფლებისა და სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ექსპერტებს. ქსელის მიზანია - სხვადასხვა აქტორების ხელთ არსებული ინფორმაციის გაცვლა, გავრცელება და ურთიერთთანამშრომლობის შესაძლებლობის გაზრდა.

ვებ-გვერდი

პროექტის ფარგლებში შეიქმნა და მუშაობს ვებ-გვერდი: www.civilin.org.welfare, სადაც განთავსებულია ინფორმაცია პროექტის ცალკეული კომპონენტების, სოციალურ სფეროში

პროექტი

მიმდინარე პროცესების, მარეგულირებელი კანონმდებლობის, საკანონმდებლო ინიციატივების,



სოციალურ სფეროზე ორიენტირებული ორგანიზაციების აქტივობების შესახებ.

ელექტრონული საინფორმაციო ბიულეტენი

ქსელის მუშაობის სტიმულირებისთვის, აქტორთა შორის კომუნიკაციის, ინფორმაციის გაცვლისა და მიწოდების მიზნით ყოველთვიურად ვრცელდება ელექტრონული ბიულეტენი. დღეისათვის ბიულეტენს 140-ზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.

სოციალურ თემებზე მომუშავე ჟურნალისტთა კონკურსი „ვიზრუნოთ ერთმანეთზე“

პროექტის ფარგლებში სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა დააფუძნა მედია კონკურსი, რომლის მიზანია სოციალური თემების ფართოდ და ღრმად გაშუქების ხელშეწყობა და სოციალურ თემებზე მომზადებული საუკეთესო საგაზეთო სტატიის, ფოტო ნამუშევრის, სატელევიზიო და რადიოსიუჟეტის გამოვლენა. 5 მარტს გამოვლინდნენ კონკურსის პირველი გამარჯვებულები. კონკურსი – „ვიზრუნოთ ერთმანეთზე“ ყოველწლიურად გაიმართება.

სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობის პროექტის მეორე ეტაპი

პროექტის მეორე ეტაპი, რომელიც გაფართოების და ლობირების ფაზას წარმოადგენს 2008 წლის აპრილიდან დაიწყო. პროექტის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ქვეყნის მასშტაბით მოქმედი სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის ხელსაყრელი და მდგრადი საარსებო გარემოს შექმნის და მათი შემდგომი განვითარების ხელშეწყობა.

2008 წლის სახელმწიფო პროგრამა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და ხანდაზმულებისათვის

საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამისად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 14 მარტის #70/ნ ბრძანებით დამტკიცდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობის 2008 წლის სახელმწიფო პროგრამა. სახელმწიფო პროგრამა მიზნად ისახავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საერთაშორისო აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნათა ცხოვრებაში გატარებას. პროგრამის ბენეფიციარებს (სამიზნე ჯგუფს) წარმოადგენენ:

- საქართველოში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (მათ შორის პირები, რომლებსაც არ დაუდგინდათ შესაბამისი სტატუსი, მაგრამ მათთვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 თებერვლის N64/ნ ბრძანებით დამტკიცებული ფორმა NIV-50/2-ში, მითითებული იქნება დამხმარე საშუალების საჭიროება);
- საქართველოში მცხოვრები ყრუ და სმენადაქვეითებული პირები (მათ შორის ბავშვები);
- საქართველოში მცხოვრები ოჯახურ მზრუნველობას მოკლებული ბავშვები;
- საქართველოში მცხოვრები სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებაში მცხოვრები პირები;
- საქართველოში მცხოვრები ხანდაზმულები.
შენიშვნა: თანაბარ პირობებში ყოფილი ბენეფიციართაგან დაკმაყოფილებიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული იმ ოჯახების წევრი რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს (შემდეგი თანმიმდევრობით): ა) შშმ, ყრუ და სმენადაქვეითებული პირები (მათ შორის ბავშვები); ბ) ხანდაზმულები.

სახელმწიფო პროგრამის საერთო ბიუჯეტია 4 237 300 ლარი და შედგება შემდეგი ოთხი ქვეპროგრამისაგან:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის ქვეპროგრამა – 1 359 000 ლარი;

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინსტიტუციური პატრონაჟის ხარჯების ქვეპროგრამა – 1 003 640 ლარი;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სამედიცინო რეაბილიტაციის ქვეპროგრამა – 720 000 ლარი;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა – 1 154 660 ლარი.

I. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის ქვეპროგრამა

1. შშმ პირთა დღის ცენტრის ტიპის სპეციალიზირებული დაწესებულებების მომსახურების უზრუნველყოფის კომპონენტი

პროგრამის კომპონენტის მიზანია შშმ პირთა ინდივიდუალური განვითარებისა და მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის ხელშეწყობა. კომპონენტის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ოჯახურ გარემოში მცხოვრები შშმ პირები, კერძოდ, 530-მდე ბენეფიციარი. პროგრამის კომპონენტის დასაფინანსებლად სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულია 1 309 000 ლარი. ხოლო ერთ ბენეფიციარზე კომპონენტით გათვალისწინებული დღიური ხარჯი არ აღემატება 10 ლარს (აუცილებელი პაკეტი მოიცავს ბენეფიციართა კვებით, ტრანსპორტით ან მგზავრობისათვის საჭირო თანხით, სწავლებითა და მოვლით უზრუნველყოფას).

ქვეპროგრამა ითვალისწინებს შშმ პირთა დღის ცენტრის ტიპის სპეციალიზირებული დაწესებულებების მომსახურებით უზრუნველყოფას, რომელიც მოიცავს:

- ბენეფიციარებისათვის ინდივიდუალური აბილიტაციის/რეაბილიტაციის პროგრამის შედგენას;
- ყოველდღიური მომსახურებას (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა) 2-ჯერადი კვებით, რომელთაგან ერთ-ერთი უნდა იყოს სამკომპონენტო სადილი;
- ბენეფიციართა ცენტრებში მიყვანისა და შინ დაბრუნების უზრუნველყოფას;
- საყოფაცხოვრებო და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას;

(გაგრძელება იხ. მე-5 გვ)

(გაგრძელება)

- ბენეფიციარების საგანმანათლებლო, კულტურულ და სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში მონაწილეობის უზრუნველყოფას, როგორც ცენტრებში, ისე, ბენეფიციართა შესაძლებლობის გათვალისწინებით, მათ გარეთაც;
- საჭიროების შემთხვევაში ამბულატორიული სამედიცინო და ფსიქოლოგიური მომსახურების უზრუნველყოფას.

2. ყრუ-მუნჯების კომუნიკაციის განვითარების ხელშეწყობის კომპონენტი

პროგრამის ამ კომპონენტის მიზანია საზოგადოებაში ყრუ-მუნჯთა ინტეგრაციის ხელშეწყობა, ყრუ-მუნჯთა სურდო თარჯიმნების სერვისით უზრუნველყოფის გზით. კომპონენტის განხორციელების შედეგად მოხდება ყრუ-მუნჯი პირებისათვის სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი სხვადასხვა სერვისების შესახებ ინფორმირებულობის დონის ამაღლება. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ საქართველოში მცხოვრები ყრუ-მუნჯი პირები. კომპონენტის ღონისძიებები მოიცავს არსებული სურდო თარჯიმნების შერჩევას და საქართველოს ყველა რეგიონის მინიმუმ 1 თარჯიმნით უზრუნველყოფას. ამისათვის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულია 20 000 ლარი (თითოეულ თარჯიმანზე გათვლილი თანხა თვეში არ უნდა აღემატებოდეს 200 ლარს).

3. პროგრამის მონიტორინგის კომპონენტი

კომპონენტის მიზანია პროგრამის ეფექტურობისა და გამჭვირვალობის გაზრდა, ამ მიზნით გათვალისწინებულია

- პროგრამის თითოეული ქვეკომპონენტის შესრულების მონიტორინგი;
- მონიტორინგის შედეგების შეფასება;
- პროგრამის თითოეული ქვეკომპონენტის ანალიზი;
- რეკომენდაციების შემუშავება პროგრამის ეფექტურობის ზრდის მიზნით.

კომპონენტის დასაფინანსებლად სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულია 30 000 ლარი.

II. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინსტიტუციური პატრონაჟის ხარჯების ქვეპროგრამა

1. სპეციალიზებულ სადღეღამისო დაწესებულებებში სახელმწიფო კმაყოფაზე მყოფ შშმ-თა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა მოვლა-

პატრონობისა და რეაბილიტაციის კომპონენტი
 კომპონენტის მიზანია შშმ პირთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სადღეღამისო სპეციალიზებული დაწესებულებების მომსახურების სხვადასხვა სახეებით უზრუნველყოფა. კომპონენტის დასაფინანსებლად სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულია 762 240 ლარი (თითოეულ ბენეფიციარზე გათვლილი თანხის სადღეღამისო ოდენობა შეადგენს 10 ლარს). ბენეფიციარებს წარმოადგენენ შშმ პირები და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებული ბავშვები. კერძოდ:

- ფსიქიკური აშლილობის მქონე პირები - 105-მდე;
- 0-7 წლამდე შშმ და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებული ბავშვები - 45-მდე;
- შშმ ბავშვები - 28-მდე;
- ბავშვთა ინსტიტუციებში 18 წელს ზემოთ ასაკის პირები - 72-მდე.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს შშმ პირთა და ოჯახის მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სადღეღამისო სპეციალიზებული დაწესებულებების მომსახურებით უზრუნველყოფას, რომელიც მოიცავს:

- ბენეფიციარების ინდივიდუალური მოვლა პატრონობისა და რეაბილიტაციის პროგრამის შედეგნას;
- 24-საათიანი მომსახურებით უზრუნველყოფას;
- არანაკლებ სამკერადი კვებით უზრუნველყოფას;
- საყოფაცხოვრებო უნარ-ჩვევების სწავლებისა და ხარისხიანი მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფას;
- საჭიროების შემთხვევაში ამბულატორიული სამედიცინო და ფსიქოლოგიური მომსახურებით უზრუნველყოფას;
- ბენეფიციართა შემეცნებით-საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობის უზრუნველყოფას, ბენეფიციართა შესაძლებლობის გათვალისწინებით მათ შორის სპეციალიზებული დაწესებულების გარეთაც.

2. შშმ პირთა სათემო ორგანიზაციის ტიპის სპეციალიზებული დაწესებულებების მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტი

კომპონენტის მიზანია შშმ ბავშვთა სპეციალიზებულ სადღეღამისო დაწესებულებებში მცხოვრები სრულწლოვანი ბენეფიციარებისათვის ოჯახურ გარემოსთან მიახლოებული პირობების შექმნა და

(გაგრძელება იხ. მე-6 გვ)

გაგრძელება

ფსიქო-სოციალური და შრომითი რეაბილიტაციის ხელშეწყობა. კომპონენტის დასაფინანსებლად სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულია 185 400 ლარი (ერთ ბენეფიციარზე კომპონენტით გათვალისწინებული სადღეღამისო ხარჯი არ უნდა აღემატებოდეს 10 ლარს). კომპონენტის ბენეფიციარები არიან შშმ ბავშვთა სპეციალიზებულ სადღეღამისო დაწესებულებებში მცხოვრები სრულწლოვანი პირები, ასევე ის პირები, რომლებიც შშმ ბავშვთა სადღეღამისო სპეციალიზებული დაწესებულებებიდან გაყვანილი იყვნენ სათემო ორგანიზაციებში (60-მდე ბენეფიციარი). კომპონენტის ღონისძიებები მოიცავს:

- კომპონენტის ფარგლებში ბენეფიციარებისათვის ინდივიდუალური განვითარების პროგრამის შედგენას და განხორციელებას;
- საცხოვრებლით, მოვლით და 3-ჯერადი კვებით უზრუნველყოფას;
- პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას;
- პირადი ჰიგიენისა და ინდივიდუალური მოხმარების საგნებით უზრუნველყოფას;
- საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას.

3. სპეციალიზებული სადღეღამისო დაწესებულებების ბენეფიციართა საკურორტო რეაბილიტაციის კომპონენტი

კომპონენტის მიზანია სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებებში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ხანდაზმულებისა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებული ბავშვების საკურორტო რეაბილიტაცია. კომპონენტის დასაფინანსებლად სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულია 56 000 ლარი. კომპონენტის ბენეფიციარებს წარმოადგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაფინანსებაზე მყოფ სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებებში მცხოვრები 100-მდე ბენეფიციარი და მათ შერჩევას ახდენს თავად სამინისტრო. კომპონენტის ღონისძიებები მოიცავს:

- სპეციალიზებულ დაწესებულებებში მოთავსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ხანდაზმულებისა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებული ბავშვების დასვენებას საქართველოს სხვადასხვა კურორტზე არანაკლებ

14 დღის მანძილზე;

- სადღეღამისო სპეციალიზებული დაწესებულებების ბენეფიციართა სამჯერად კვებას, მოვლას, კეთილმოწყობილ საცხოვრებელ ადგილს, საჭიროების შემთხვევაში ფსიქოლოგიურ და ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებას, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებებით უზრუნველყოფას, ხოლო სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებებში მომუშავე, ბენეფიციართა მომვლელების სამჯერადი კვებით, კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ადგილითა და საჭიროების შემთხვევაში ამბულატორიული სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფას.

III. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სამედიცინო რეაბილიტაციის ქვეპროგრამა

ქვეპროგრამა შედგება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაციის/რეაბილიტაციის კომპონენტისაგან, რომლის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია/რეაბილიტაცია. კომპონენტის დაფინანსებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულია 720 000 ლარი. კომპონენტის ბენეფიციარები არიან ქვემოთ ჩამოთვლილი ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებებისა და პათოლოგიური მდგომარეობის მქონე შშმ ბავშვები. კომპონენტის ღონისძიებები მოიცავს:

- ბენეფიციარებისათვის ინდივიდუალური ფსიქოსომატური აბილიტაციის/რეაბილიტაციის პროგრამის შედგენას;
- შშმ ბავშვთა შემდეგი დაავადებებისა და პათოლოგიური მდგომარეობების მკურნალობას და რეაბილიტაციას: ა) ბავშვთა ცერებრული დამბლა; ბ) კუნთების პირველადი დაზიანება; გ) ცნს-ის ანთებითი დაავადებების ნარჩენი მოვლენები; დ) ცნს-ის ცერებროვასკულარული დაავადებების ნარჩენი მოვლენები; ე) ეპილეფსია; ვ) მხრისა და მხრის სარტყელის ნერვების დაზიანება.
- მომსახურების განხორციელებას მინიმუმ 2 რეგიონში.

IV. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა

1. შშმ პირთა და ხანდაზმულთა გადასადგილებელი საშუალებებით (სავარძელ-ეტლები, ყავარჯენები, ხელჯოხ-ყავარჯენები, ხელჯოხები, უსინათლოთა ხელჯოხები) უზრუნველყოფის კომპონენტი (გაგრძელება იხ. მე-7 გვ)

გაგრძელება

კომპონენტის მიზანია შშმ პირთა და ხანდაზმულთა ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება, მათთვის ხარისხიანი სავარძელ-ეტლების, ყავარჯნების, ხელჯობ-ყავარჯნების და ხელჯობების (მათ შორის უსინათლოთა) შექმნა და გაცემა. კომპონენტის დაფინანსებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულია 317 000 ლარი. კომპონენტის ბენეფიციარებს წარმოადგენენ სავარძელ-ეტლების, ხელჯობების, უსინათლოთა ხელჯობების, ყავარჯნებისა და ხელჯობ-ყავარჯნების საჭიროების მქონე შშმ პირები და ხანდაზმულები. კომპონენტის ღონისძიებები მოიცავს:

- ხარისხიანი სავარძელ-ეტლების, ხელჯობების, უსინათლოთა ხელჯობების, ყავარჯნებისა და ხელჯობ-ყავარჯნების შექმნას;
- სავარძელ-ეტლების, ხელჯობების, უსინათლოთა ხელჯობების, ყავარჯნებისა და ხელჯობ-ყავარჯნების კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად გაცემას, მათ შორის სავარძელ-ეტლების ბინაზე მიტანას;
- გადასაადგილებელი საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით შესაბამისი სარეკომენდაციო-საკონსულტაციო და ტექნიკური მომსახურების გაწევას;
- ყველა ტიპის დამხმარე საშუალებების უფასო მომსახურებას საგარანტიო ვადის გასვლამდე.

2. სმენადაქვეითებულ პირთა სმენის აპარატებით უზრუნველყოფის კომპონენტი

კომპონენტის მიზანია სმენადაქვეითებული პირების ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება, მათთვის ხარისხიანი სმენის აპარატების შექმნა, მორგება, გაცემა და მოხმარებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება. კომპონენტის დასაფინანსებლად სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულია 512 000 ლარი. ბენეფიციარებს წარმოადგენენ სმენის აპარატის საჭიროების მქონე სმენადაქვეითებული პირები. კომპონენტის ღონისძიებები მოიცავს:

- სმენადაქვეითებული პირებისთვის ხარისხიანი სმენის აპარატების შექმნას;
- სმენის აპარატების მორგებას და კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად გაცემას;
- სმენადაქვეითებული პირებისთვის სმენის

აპარატების გამოყენებასთან დაკავშირებით შესაბამისი სარეკომენდაციო-საკონსულტაციო და ტექნიკური მომსახურების გაწევას;

- სმენადაქვეითებული პირებისთვის სმენის აპარატების უფასო მომსახურება საგარანტიო ვადის გასვლამდე.

3. შშმ პირთა საპროთეზო-ორთოპედიული საშუალებებით უზრუნველყოფის კომპონენტი

კომპონენტის მიზანია ბენეფიციარების ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხის გაუმჯობესება და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა, ბენეფიციარებისთვის საპროთეზო-ორთოპედიული საშუალებების დამზადებისა და მათი მორგება-გამოყენების უზრუნველყოფის გზით. კომპონენტის ბენეფიციარებს წარმოადგენენ საპროთეზო-ორთოპედიული ნაწარმის საჭიროების მქონე შშმ პირები (მათ შორის ბავშვები). კომპონენტი მოიცავს ბენეფიციარებისათვის შესაბამისი სარეკომენდაციო-საკონსულტაციო და ტექნიკური მომსახურების გაწევას, რაც გულისხმობს შემდგომ ღონისძიებებს:

- წვივის და ბარძაყის ყველა ღონის ამპუტირების შემთხვევაში ქვედა კიდურების პროთეზების შერჩევას, დამზადებას, მორგებას და შეკეთებას;
- ზედა კიდურის ყველა ღონის ამპუტირების შემთხვევაში მექანიკური, კოსმეტიკური და მუშა ტიპის პროთეზის შერჩევას, დამზადებას, მორგებას და შეკეთებას;
- ტუტორების, კორსეტების, რთული ორთოპედიული ფეხსაცმლის, მაკორეგირებელი სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალებების შერჩევას, დამზადებას, მორგებას და შეკეთებას;
- ინდივიდუალური ტრენინგებისა და სპეციალური სასწავლო ღონისძიებების ჩატარებას ბენეფიციართათვის ნაწარმის უსაფრთხო ექსპლუატაციის, აგრეთვე საექსპლუატაციო ვადის მაქსიმალური გახანგრძლივების მიზნით;
- ყველა ტიპის პროთეზის ფუნქციონირების უფასო უზრუნველყოფას საგარანტიო ვადის გასვლამდე;
- საჭიროების შემთხვევაში ფსიქოლოგიური კონსულტაციების გამართვას.

შენიშვნა: ბენეფიციარისათვის საპროთეზო-ორთოპედიული ნაწარმის შესყიდვა და შესაბამისი სარეკომენდაციო-საკონსულტაციო და ტექნიკური მომსახურების გაწევა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე.

(გაგრძელება იხ. მე-8 გვ)

კომპონენტის დასაფინანსებლად სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულია 246 910 ლარი, ხოლო დაფინანსება მოხდება შემდეგი პრინციპით:

- კომპონენტი თითოეული ბენეფიციარისთვის ითვალისწინებს საპროთეზო-ორთოპედიული ნაწარმით უზრუნველყოფას არაუმეტეს 1500 ლარის დაფინანსებით.
- შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვებისათვის და „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში” რეგისტრირებული იმ ოჯახების წევრისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000 -ს. დაფინანსება იქნება 100%, თუ მოთხოვნილი: ა) იდაყვის ქვედა პროტეზის ღირებულება არ აღემატება 2 240 ლარს; ბ) იდაყვის ზედა პროტეზის ღირებულება არ აღემატება 3 533 ლარს; გ) მუხლს ზედა პროტეზის ღირებულება არ აღემატება 3 845 ლარს; დ) მუხლს ქვედა პროტეზის ღირებულება არ აღემატება 2 192 ლარს.
- დაფინანსების ამ პუნქტით განსაზღვრული პირობა ერთი ბენეფიციარისთვის რამდენიმე ან სხვადასხვა საპროთეზო-ორთოპედიული ნაწარმის საჭიროების შემთხვევაში გავრცელდება მათგან მხოლოდ ერთზე, ბენეფიციარის სურვილისდა მიხედვით.

4. აბსოლუტური სიყრუის მქონე პირთა კოხლეარული იმპლანტით უზრუნველყოფის კომპონენტი

კომპონენტის მიზანია აბსოლუტური სიყრუის მქონე ბავშვთა ზოგადი განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, მათი ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლების გზით. კომპონენტის დასაფინანსებლად სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულია 78 750 ლარი. ბენეფიციარებს წარმოადგენენ აბსოლუტური სიყრუის მქონე 5 წლამდე ბავშვები. ხოლო კომპონენტი მოიცავს კოხლეარული იმპლანტის სახელმწიფოს მხრიდან 70%-იანი თანადაფინანსებით შეძენასა და კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად ბენეფიციარებისთვის გაცემას.

საკონკურსო განაცხადი

1. ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო აცხადებს ტენდერს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობის 2008 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შშმ პირთა ინსტიტუციური პატრონაჟის ხარჯების ქვეპროგრამის სპეციალიზებული სადღეღამისო დაწესებულებების ბენეფიციართა საკურორტო რეაბილიტაციის კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

ინფორმაცია იხილეთ

გაზეთი „24 საათი“, 16 მაისი, 2008 წლის ან

<http://www.civilin.org/welfare>

2. ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო აცხადებს ორეტაპიან ტენდერს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობის 2008 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სამედიცინო რეაბილიტაციის ქვეპროგრამის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაციის/რეაბილიტაციის კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

ინფორმაცია იხილეთ

გაზეთი „24 საათი“, 20 მაისი, 2008 წლის ან

<http://www.civilin.org/welfare>

3. ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო აცხადებს ორეტაპიან ტენდერს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობის 2008 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის მიხედვით შშმპ-თა საპროთეზო-ორთოპედიული საშუალებებით უზრუნველყოფის კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

ინფორმაცია იხილეთ

გაზეთი „24 საათი“, 20 მაისი, 2008 წლის ან

<http://www.civilin.org/welfare>

პრესის მონიტორინგი




სოციალურ სფეროზე

ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი მუშაობს პრესაში გამოქვეყნებული სოციალური თემების მონიტორინგზე. ვაკვირდებით სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე და მათ ბენეფიციარებზე გასულ პუბლიკაციებს. ამისთვის შევარჩიეთ ყოველდღიური და რეიტინგული გამოცემები – „რეზონანსი“ („კვირის რეზონანსი“, „მთელი კვირა“), „24 საათი“, „კვირის პალიტრა“, „ალია“, „ქრონიკა“, „ჯორჯიან თაიმსი“, „ახალი თაობა“ („კვირიდან კვირამდე“), „ცხელი შოკოლადი“, „სარკე“, „თბილისელები“.

პრესის აქტივობა

აპრილის თვეში გამოქვეყნდა 28-მდე პუბლიკაცია, ინფორმაცია.




- რეზონანსი
- ალია/ქრონიკა
- ახალი თაობა
- ჯორჯიან თაიმსი
- სარკე
- კვირის პალიტრა

თემატური აქტივობა

პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციებიდან ქველმოქმედებას/საქველმოქმედო აქციას მიეძღვნა 7 პუბლიკაცია/ინფორმაცია, ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ დაიბეჭდა 4 პუბლიკაცია. სხვადასხვა პროგრამების/პროექტების შესახებ გამოქვეყნდა 6, ხოლო უფლებების შესახებ 5 ინფორმაცია/პუბლიკაცია, საგანმანათლებლო/საცნობარო 4 მასალა დაიბეჭდა. კონკრეტული კი 2 ისტორია.

ტერმინები

პრესაში გამოქვეყნებული ტერმინები.



- ინვალიდი
- უნარშეზღუდული
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე
- მზრუნველობამოკლებული
- ყრუ-მუნჯი
- სმენადაქვეითებული
- უსინათლო
- ოზოლი
- ცერებრალური დამბლით დაავადებული
- ქუჩის ბავშვები
- ხანდაზმულები

საკონკურსო განაცხადი

1. შიდსთან, ტუბერკულოზსა და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის პროექტების სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭო გაცნობებთ, რომ შიდსთან, ტუბერკულოზსა და მალარიასთან ბრძოლის გლობალურმა ფონდმა გამოაცხადა განაცხადთა მიღება არსებული პროგრამების გაგრძელები ს თაობაზე (დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ გლობალური ფონდის საიტზე – www.thrglobalfund.org).

ინფორმაცია იხილეთ

გაზეთი „24 საათი“, 09 მაისი, 2008 წლის ან <http://www.civilin.org/welfare>

2. ქალაქ თბილისის მერია აცხადებს ტენდერს ინვალიდი და სოციალურად დაუცველი ბავშვების საკურორტო-სამკურნალო რეაბილიტაციის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

ინფორმაცია იხილეთ

გაზეთი „24 საათი“, 23 მაისი, 2008 წლის ან <http://www.civilin.org/welfare>